პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 ხუთშაბათი 24 ივლისი № 172 (16298) ფასი 2 კაპ. 1975

ერთობლივი ბიბლიოთეკა

კრემლი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ხომალდ „სოიუზ-19“-ის მეთაურთან კოსმონავტ ა. ლეონოვთან ერთად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

განვამტკიცოთ მიღწეული, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი

ბაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ნახევარში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობის შედეგები.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო გეგმამ კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. მიქელაძემ.**

მოისმინეს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის **ფ. ანანიაშვილის** ინფორმაცია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების ოზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის **ვ. ჯინჯიხაძის** ინფორმაცია რესპუბლიკის ფულის მიმოქცევის გეგმის შესრულების შედეგებისა და სახალხო მეურნეობაში საგადამხდელო დისციპლინის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზ. პატარიძე,** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი **გ. ჭობულია,** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი **გ. ქადაგიძე,** რესპუბლიკის მთავარმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნ. ღოღობერიძე,** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი **ა. ცქიტიშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **დ. ნიკურაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ნ. მეძმარიაშვილი,** პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. ქარუმიძე,** საქართველოს სსრ დამზადების მინისტრი **შ. ჭანყუვაძე,** პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. უბილავა,** პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **გ. მგელაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გ. კოლბინი.** პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი **მ. მეზვრიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

□

ᲐᲥᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ინფორმაციებსა და გამოსვლებში აღინიშნა, თუ რა დიდ პოლიტიკურ და შრომითს აჯილდოებს. შემოქმედებითს ინიციატივას ინერგნენ მუშები, სოფლის მშრომელები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერები. ახალგაზრდობა, რათა შეასრულონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებები და მთლიანად ბუთწლიანი გეგმა. კეთილსაყოფიერი შედეგები მოაქვს ადამიანთა თავდადებულ შრომას, მაღალი სოციალისტური ვალდებულების რეალიზაციისადმი მისწრაფებას, რასაც თან ახლავს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, პარტიული, საბჭოთა. პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა პარტიული, სახელმწიფოო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განსამტკიცებლად. მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, ოკომშრომლის ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

ამას მოწმობს ნახევარი წლის გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმისა და ვალდებულებების უფრო შესრულებას. მაგრამ ამისათვის საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები. ხელი შევუწყოთ კადრების საქმიანი აქტივობის შემდგომ ზრდას. უფრო ოფექტიანად გამოვიყენოთ ნედლეული, მასალები. ხამუშაო დრო, გადაჭრით აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი. ყველგან დავამკვიდროთ მუშაობის ნამდვილი პარტიული სტილი. ეფურდნობით რა მასების გაზრდილ ინიციატივას და ვაძლიერებთ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, უნდა მივაღწიოთ სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას.

დიდი და მიზნადასახული ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის. სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე, 25 ივნისს შესრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მიტ წილ უმნიშვნელოვანის სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. წლის პირველი ნახევრისათვის ნაკლები სოციალისტური ვალდებულების ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის შესრულებულია ვადაჭარბებით.

სამრეწველო წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 10.5 პროცენტით.

სწრაფი ტემპით ვითარდება მანქანათმშენებლობა. მატულობს მისი ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში. სწრაფია მსუბუქი და ქიმიის მრეწველობის — იმ დარგების ხანგრძლივების ტემპი. რომელსაც რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაში უკავიათ 58-მდე პროცენტი და რომელთა მუშაობის შედეგებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება.

მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე მთლიანი პროდუქციის ხაშუალო-სადღეღამისო წარმოება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 9.1 პროცენტით და შეადგინა 18.9 მილიონი მანეთი. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო ივნისში — 21,2 მილიონი მანეთი.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 8.5 პროცენტით, რის შედეგადაც მიღებულია პროდუქციის საერთო მატების 82.9 პროცენტი გასული წლის პირველი ნახევრის 75 პროცენტის ნაცვლად. შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც პროდუქციის რეალიზაციის გეგმებს ვერ ასრულებენ.

ელექტროენერგიის გამომუშავების დავალება გადაჭარბებით შეასრულეს „საქმთავარენერგოს“ ელექტროსადგურებმა. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ყველა შახტა შეასრულა ქვანახშირის მოპოვების ნახევარი წლის გეგმა. ხოლო ქვანახშირის გადამუშავებისა და კოქსადი კონცენტრატის გამოშვების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

მოლიანი პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს შავი მეტალურგიის საწარმოებმა. გაუმჯობესდა მათი საქმიანობისა და ძირითადი მეტალურგიული აგრეგატების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მაგრამ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ნახევარი წლის გეგმა ვერ შეასრულა.

ფირადი მეტალურგიის საწარმოებმა წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ტყვია-თუთიის მადნი, დაკონცენტრატებულ თუთია, მეორეული ალუმინი და სპილენძის მადანი. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შეფარდებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამოქმედებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ტყვია-თუთიის მადნის ამოსაღებ და მეორეული ალუმინის გამოსადნობ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების გზით.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ქიმიური მრეწველობის საწარმოებს, რომლებმაც ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

გადაჭარბებით შეასრულეს სარეალიზაციო და მთლიანი პროდუქციის გეგმები მანქანათმშენებლობის საწარმოებმა, ამასთან ამ დარგში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა წლის პირველ ნახევარში მიღწეულ დონესთან შედარებით შეადგინა 115.8 პროცენტი. საეგზამო დავალებათა შესასრულებლად მიმდინარე დადგენითმა მუშაობამ გავლენა მოახდინა ამ საწარმოთა ეკონომიურ მაჩვენებლებზეც. სადაც გამომუშავება ექვსი თვის განმავლობაში ერთ მომუშავეზე 10.8 პროცენტით გაიზარდა. საწარმოთა დიდი უმრავლესობა ასრულებს შრომის ნაყოფიერების დავალებებს.

ამასთანავე, როგორც აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე, მთელმა რიგმა მანქანათსამშენებლო საწარმოებმა ვერ შეასრულეს დადგენილი გეგმა.

თუმცა რუსთავის ცემენტის ქარხანამ, საქართველოს არამადნეული მასალების საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის კერამიკულმა კომბინატმა და რესპუბლიკის საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სხვა საწარმოებმა კარგად იმუშავეს და უზრუნველყვეს გეგმის შესრულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით, ამ დარგის 35 საწარმოდან ათმა მაინც ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმები.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გაანაღდეს 13.7 მილიონი მანეთის პროდუქცია წლიური სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული 27 მილიონი მანეთის პროდუქციიდან. მაგრამ, მთლიანად გეგმის მაჩვენებლების წარმატებით შესრულების მიუხედავად, გაიზარდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ ხაგეგმო დავალებებს. თუ პირველ კვარტალში დარგის ყველა საწარმომ შეასრულა მთლიანი პროდუქციის გეგმა, რეალიზაციის გეგმა კი ვერ შეასრულა მარტო ერთმა, წლის პირველ ნახევარში მთლიანი პროდუქციისა და რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულა ოთხმა საწარმომ.

დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ ხაგეგმო მაჩვენებლების შესრულებაში ღირებულებითი და ნატურალური გამოხატულებით თბილისის კამოლური დარგის ფაბრიკა, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი, შულავრის თექის ფაბრიკა და თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „იასნი“. მაგალითად, კამოლური დარგის ფაბრიკის არადამკმაყოფილებელი მუშაობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამ საწარმოში არ ხორციელდებოდა არსებულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ღონისძიებანი. ორგანიზაციულმა ნაკლოვანებებმა, აგრეთვე ხაექსპლოატაციოდ ახლად გადაცემულ სიმძლავრეთა ათვისების შეუყოვნებამ განაპირობა ჩამორჩენა ხალიჩების კომბინატისა და თექის ფაბრიკის მუშაობაში.

როგორც სარეალიზაციო, ისე სასაქონლო პროდუქციის ნახევარი წლის დავალებანი შეასრულეს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს საქვეუწყებო ყველა გაერთიანებამ, ტრესტმა და ორგანიზაციამ. ამასთან, ცალკეულ საწარმოებში მთლიანად არ იყენებდნენ საწარმოო სიმძლავრეებს.

ნახევარ წელიწადში 6,8 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 107,1 პროცენტი. მაგრამ დარგმა ვერ შეასრულა ძეხვეულის, ხორცის ნახევარფაბრიკატების, დაფასოებული ხორცისა და ნაყინის წარმოების გეგმა.

მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მაღალი შეფასება მისცეს. ინდუსტრიის საქმიანობის შედეგები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე წლის დამდეგს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე დასახული მიჯნები მიღწეული იქნება, ხუთწლედი შესრულდება. მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ, რაც მოითხოვს მთელი ძალების დაძაბვას, ყველა რეზერვის დარაზმვას, რომლებიც, როგორც ჩვენი საუკეთესო საწარმოების მაგალითმა ცხადყო, ამოუწურავია. სამეურნეო ხელმძღვანელებმა და პარტიულმა კომიტეტებმა შრომითი კოლექტივების ყველაზე ფართო მონაწილეობით უნდა გამოიყენონ რესპუბლიკაში უკვე შეძენილი დაღებითი გამოცდილება, თუ როგორ წარვმართოთ სოციალისტური შეჯიბრება მათი შუაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ასამაღლებლად საწარმოოა შინაგანი შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებისათვის. პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ამ საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებით. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ოკონკრეტდეს მშრომელთა ბრძოლა მრეწველობის საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ხერიოზული და პრინციპული ხაუბარი გაიმართა სხდომაზე კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. ნახევარ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების სიმძლავრენი ორსა და მარნეულში, მანგანუმის ელექტროლიზური ორგანგის დანადგარი რუსთავის ქიმიურ კომბინატში, დამატებითი სიმძლავრე თბილისის მართული გამოსათვლელი მანქანების ქარხანაში, ამოქმედდა რუსთავის ცემენტის ქარხნის ღუმელის ელექტროფილტრები, დამატებითი სიმძლავრენი მთელ რიგ ჩაის ფაბრიკებში. სოფლის მეურნეობაში ხაექსპლოატაციოდ გადაეცა სამრეწველო საფუძველზე რძის წარმოების მეცხოველეობის კომპლექსი მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში, ხარწყვის მიწები, ამოშრობილი მიწები, გაწყლიერებული ბაძოვრები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაგგომები და სხვ. ხაექსპლოატაციოდ არის გადაცემული 350,7 ათასი კვადრატული მეტრი ხაერთო ფართობის საცხოვრებელი ხახლები, ზოგადხაგანმათლებლო სკოლები, ხაავადმყოფოები და პოლიკლინიკები.

მაგრამ სხდომაზე გამოითქვა შეშფოთება, რომ კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 1975 წლის პირველ ნახევარში მეტად არადამაკმაყოფილებელია. ამ პერიოდში არ ამოქმედებულა ციხბატის დიატომიტის მაღარო, არ გაფართოებულა თბილისის კონიაკის ქარხანა, თელავის ეთერზეთოვანი ქარხანა — საბჭოთა მეურნეობის სახეაყობო მეურნეობა და სხვ. წლის პირველი ნახევრის კაპიტალდაბანდებათა ხაერთო მოცულობის გეგმა მხოლოდ 89 პროცენტით შესრულდა. ხოლო ხაშენებლო-ხამონტაჟო ხამუშაოებისა — 93 პროცენტით.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად შესრულდა გეგმა რეხიტულიკის მუხუჭი, ხორცისა და რძის მრეწველობის ხამინისტროთა, სსრ კავშირის ნავთობისა და ქიმიური, ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ჩარხსამშენებლო და ხელსაყოფთსამშენებლო მრეწველობის ხამინისტროთა ობიექტებზე, რომლებზეც საბუაოებს ძირითადად ახორციელებს საქართველოს სსრ მშენებლობის ხამინისტრო.

მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოს სსრ ვაჭრობის, კულტურის ხამინისტროებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მშენებლობებზე.

მთლიანად რესპუბლიკაში ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა მხოლოდ 85 პროცენტით შესრულდა და მათმა ღირებულებამ წლიური დავალების მხოლოდ 20,9 პროცენტი შეადგინა. მაშასადამე, ძირითადი ფონდების ღირებულების თითქმის 80 პროცენტი უნდა ავამოქმედოთ წლის მეორე ნახევარში.

განსაკუთრებით ჩამორჩება ძირითადი ფონდების ამოქმედება რესპუბლიკურ მეურნეობაში, სადაც გეგმის შესრულება 71 პროცენტს შეადგენს.

ძეხეულეულები მკაცრად გააკრიტიკეს ხაბინაო მშენებლობის ტემპის შენელებისათვის. თუ მარშან მთლიანად რესპუბლიკურმა ხაიჯარო-ხამშენებლო ორგანიზაციებმა ხაბინაო მშენებლობაში ვერ აითვისეს 6,9 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მანძილზე უკვე აუთვისებელია 7,6 მილიონი მანეთი.

მთელ რესპუბლიკაში ფაქტიურად გადაცემული ხაცხოვრებელი ფართობის რაოდენობა შემცირდა. მიმდინარე წლის ექვს თვეში ხაექსპლოატაციოდ გადაეცა 55 ათასი კვადრატული მეტრით ნაკლები ხაცხოვრებელი ფართობი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

(დასასრული მე-2 გვ.).

„სალუტ-4“:

გამოსათხოვარი გამოხედვა

ფრუნზის მართვის ცენტრი, 23 ივლისი. (საკდესი). „სალუტ-4“ ორბიტული სამეცნიერო საგუნრის ბორტზე მორიგი წამუშაო დღე დამთავრდა 23 ივლისს 3 საათზე მოსკოვის დროით. კოსმონავტებმა პეტრე კლიმუკმა და ვიტალი სევასტიანოვმა განაგრძეს საგუნრის სისტემებისა და აპარატურის კონსერვაციის ოპერაციები.

დღის განმავლობაში შეასრულეს აგრეთვე ასტროფიზიკური გამოკვლევების დასკვნითი ციკლი, რენტგენული ტელესკოპსპექტრომეტრის „ჭოტს“ საშუალებით იკვლევდნენ რენტგენული წყაროების მახასიათებლებს გედისა და ფარის თანვარსკვლავიდებში. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, ფიქსირებულია გამისხივების რამდენიმე მნიშვნელოვანი თქაფვა გედი — X-I წყაროსაგან. ფარის თანვარსკვლავიდში რეგისტრირებულია სტაბილური რენტგენული ნაკადი 2-10 კილოელექტრონოვოლტ დიაპაზონში.

ეკიპაჟის ორივე წევრი ჯანმრთელად და კარგად გრძნობს თავს. ორბიტული სადგურის სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

„ᲐᲠᲝᲚᲝᲜᲘ“ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓ

ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲘᲜᲘ, ᲤᲠᲣᲜᲖᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 23 ივლისი. (საკდესი). „ᲐᲠᲝᲚᲝᲜᲘ“ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲒᲣᲜᲠᲘᲡ ᲑᲝᲠᲢᲖᲔ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲬᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ 3 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲘ. ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲛᲐ �პᲔᲢᲠᲔ ᲙᲚᲘᲛᲣᲙᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲘᲐᲜᲝᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲔᲡ ᲡᲐᲓᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა�პᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲘᲡ Ო�პᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ. ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲞᲡᲞᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ „ᲭᲝᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲙᲕᲚᲘᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲛᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲓᲔᲑᲨᲘ. ᲢᲔᲚᲔᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲥᲐᲤᲕᲐ ᲒᲔᲓᲘ — X-I ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲐᲒᲐᲜ. ᲤᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲓᲔᲑᲨᲘ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ 2-10 ᲙᲘᲚᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲝᲕᲝᲚᲢ ᲓᲘᲐ�პᲐᲖᲝᲜᲨᲘ.

ᲔᲙᲘᲞᲐᲯᲘᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ. ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲐᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲑᲗ.

ᲒᲖᲐᲓ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲜᲔᲚ ᲮᲐᲚᲘᲩᲘᲡ ᲛᲬᲧᲝᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲖᲘᲠᲘᲜᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲙᲣᲒᲐᲡᲝᲕᲘ. ᲛᲐᲗ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲠᲘᲡᲐᲡ, ᲐᲛᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲜ ᲐᲠᲪ ᲫᲚᲐᲕᲔᲑᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲒᲖᲐᲓ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲗᲔᲚ ᲮᲐᲚᲘᲩᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲬᲧᲝᲠᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲖᲘᲠᲘᲜᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲙᲣᲒᲐᲡᲝᲕᲘ. ᲛᲐᲗ ᲞᲘᲠᲜᲐᲗᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲠᲘᲡᲐᲡ, ᲐᲛᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲜ ᲐᲠᲪ ᲫᲚᲐᲕᲔᲑᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲐᲠᲣᲚᲘ.

ᲒᲖᲐᲓ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲗᲔᲚ ᲮᲐᲚᲘᲩᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲬᲧᲝᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲖᲘᲠᲘᲜᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲘᲗ. ᲛᲐᲗ ᲐᲥᲕᲗ ᲛᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲣᲗᲮᲘᲗᲘᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲐᲠᲘᲛᲘ ᲖᲠᲓᲘᲐᲚ ᲨᲔᲣᲠᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, „ᲬᲘᲝᲚᲣᲖ-19“ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲯᲓᲝᲛᲘᲗ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲒᲣᲜᲠᲘᲡ ᲑᲝᲠᲢᲖᲔ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲬᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ 3 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲗᲘ. ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲛᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲙᲚᲘᲛᲣᲙᲛᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲘᲐᲜᲝᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲔᲡ ᲡᲐᲓᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ Ა�პᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲘᲡ Ო�პᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ

გაანალიზებულ, ამოვიპოვოთ ახალი წარმატებანი

(დასასრული).

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება კომუნალური მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაც.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. საქმის მდგომარეობა სასკოლო მშენებლობაში კი ძალზე დაძაბულია. დირექტივულ ორგანოთა მთელი რიგი გადაწყვეტილებების მიუხედავად, დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა. ასეთი ჩამორჩენა მხოლოდ იმით უნდა ავხსნათ, რომ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები და შეკვეთები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

ცუდად მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაც.

ჯერ კიდევ ურიგდებიან გეგმების შეუსრულებლობას ამ ობიექტების მშენებლობაზე, რომლებსაც რესპუბლიკისათვის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო შეურიგდა ჩამორჩენას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, რუსთავის შეტალურგიული ქარხნის, რუსთავის „მეორეულ ფერადლითონთხის“ ქარხნის, ოჩამჩირის ციტრუსოვანი კომბინატის, რუსთავის ქიმიური კომბინატის, ქუთაისის აცეტილგამამტარებელი ქარხნის, ხაშურის მექანიკური ქარხნის ობიექტების მშენებლობაზე და სხვ. ნელია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ქვედანაყოფთა მუშაობის ტემპი ლანჩხუთის კონსერვის ქარხნის, ქობულეთის ჩაის ფაბრიკის, ხონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელი კომპლექსის, შუალნლოსა და ბაგრის მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობაზე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მშენებელთა ჩამორჩენა მეტ წილ შემოხვევებში შეუძლებელია აიხსნას რაიმე ობიექტური მიზეზებით. როგორც წესი, მისი მიზეზია სამუშაოთა ორგანიზაციის დაბალი დონე, ის, რომ მოიჯარეები და შემკვეთები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ მშენებლობის მიმდინარეობას, მათ საკმარის დახმარებას არ უწევენ ადგილმბრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ხშირად მშენებლობები დროულად არ მარაგდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე თავს არ უყრიან მატერიალურ და შრომითს რესურსებს, ჯერ კიდევ მაღალია ხელის შრომის დონე, დიდია მუშებისა და მექანიზმების მოცდენა. სხდომაზე აღინიშნა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ მშენებლობებს უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მუშათა კადრები გაგზავნონ უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე.

ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა გაართულა და გააძნელა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ზიანი მიაყენა ნათესებს. პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის შრომელებმა უამინდობას დაუპირისპირეს მაღალი ორგანიზებულობა და კარგ შედეგებს აღწევენ. მთელი რიგი ერთფლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავლიანობა მოლოდინს გადაჭარბა.

ძირითად სამარცვლე რაიონებში მთავრდება პურეულის მკა. 14 ივლისისათვის პურეული მომკილი იყო 109 ათას ჰექტარზე, რაც 37 ათასი ჰექტარით მეტია, ვიდრე გასული წლის ამ დროს. თავთავიანი კულტურების მარცვლეულის ჰექტარობრივმა გამოსავლიანობამ უკვე 21 ცენტერი შეადგინა. სოფლის მშრომელები იჩენენ მაღალი პატრიოტიზმის, სამშობლოს წინაშე მოვალეობის შესრულების გრძნობებს, ისწრაფვიან გადაჭარბებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი — მიჰყიდონ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი მარცვლეული, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ახე იქცევიან, მაგალითად, სიღნაღის, საგარეჯოს, ბაბაში, გურჯაანის, წითელწყაროს, ქარელის, ახალქალაქისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

ახლა სიმინდის ნათესების გაცხარებული დამუშავების დროა, მაგრამ იგი საკმარისი ტემპით არ მიმდინარეობს, განსაკუთრებით ნათესების მეორე დამუშავება. შედარებით უკეთ მიმდინარეობს კარტოფილის, ბოსტნეულის, მზესუმზირასა და შაქრის ჭარხლის, თამბაქოს ნათესების დამუშავება.

შარშანდელზე უკეთ არის ორგანიზებული ბუნებრივი და ნპთესი ბალახების თიბვა. კომბაინით აღების შემდეგ ფერმებთან მიზიდულია მეტი ნამჯა. პირველი ივლისისათვის დამზადებული იყო 257,8 ათასი ტონა უხეში საკვები.

სათოხნი კულტურების ნათესების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები მოწმობენ, რომ ბოსტნეულის ნათესების მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. 10 ივლისისათვის დამზადებული იყო 44 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული. ეს აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მაგრამ როგორც სხდომაზე აღინიშნა, ბოსტნეულის ვაჭრობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

გადაჭარბებით შესრულდა კარტოფილის თესვის გეგმა. ძირითადად კარგ მდგომარეობაში აქვთ ნათესები, განსაკუთრებით ბოლნისის, ახალქალაქის, ახალციხის რაიონებს. 10 ივლისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 11,1 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გადაჭარბებით შესრულდება როგორც საადრეო, ისე საგვიანო კარტოფილის დამზადების გეგმები.

გადაჭარბებით შესრულდა ბაღჩეულის თესვის გეგმაც, რომელმაც 1.968 ჰექტარი დაიკავა. მოსალოდნელია, რომ აქაც გადაჭარბებით შესრულდება დამზადების გეგმა, კერძოდ, დამზადდება სულ ცოტა 8 ათასი ტონა ხაზამთრო.

წარმატებით მიდის საქმე მეჩაიეებთან და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებთან. 1 ივლისისათვის მოკრეფილი და ფაბრიკებისათვის ჩაბარებული იყო 178,4 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ნახევარი წლის გეგმის 110,1 პროცენტს შეადგენს. მთელი მოკრეფილი ჩაის ფოთლიდან პირველი ხარისხად ჩაბარებულია 75,4 პროცენტი ნაცვლად შარშანდელი 70,1 პროცენტისა. ჩაის ფოთლის კრეფა და დამზადება გრძელდება. 16 ივლისისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრეფილი იყო 226.303 ტონა — 29.513 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ახლა ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი.

გვალვის გამო ციტრუსების ჩამოსცვივდა ნასკვების ნაწილი. და მაინც, ნარგავების ბეჯითი მოვლის მეოხებით ციტრუსოვანთა ბაღები კარგ მდგომარეობაშია. ვალდებულება — დამზადდეს მიმდინარე წელს 115 ათასი ტონა მანდარინი, ლიმონი, ფორთობალი — შესრულდება.

ბევრი რამ კეთდება ხილის კარგი მოსავლის მოსაწევად. მოწინავე კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ამუშავებენ ბაღებს, სპობენ სომეჩხრეს. მაგრამ კახეთის, ახალციხის, ახპინძის, ადიგენის, მარნეულის, წყალტუბოს რაიონების ცალკეულ მეურნეობებში ხის ძირები დასარეკლიანებულია. ამოცანა ის არის, რომ შეასრულონ კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამზადების გეგმა და ვალდებულება.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა გაეუმჯობესებინათ ვენახის მოვლა, გაეზარდათ ფილოქსერაგამძლე ვაზის სტანდარტული კალმებისა და ნამყენი ნერგების წარმოება. ამის მეოხებით შეიქმნა რეალური შესაძლებლობანი, რათა შესრულდეს ყურძნის წარმოებისა და დამზადების, ახალი ვენახების გაშენებისა და ხიმერხრის ლიკვიდაციის გეგმები. სიღნაღის, გურჯაანის, წითელწყაროს, საგარეჯოსა და მთელი რიგი სხვა რაიონების მშრომელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომ გეგმის დამატებით გააშენონ ზვრები და მოიწიონ ყურძნის უხვი მოსავალი.

21-22 ივნისს მოწყობილმა ვენახების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის ძირითად მევენახეობის რაიონებში მოსავლის კარგი პირი უჩანს და რომ ყურძნის დამზადების გეგმები შესრულდება.

განუხრელად და გეგმაზომიერად წარმოება მუშაობა პირუტყვის ხელადობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ექვსი თვის მანძილზე კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოებულია 31,5 ათასი ტონა ხორცი — 2,8 ათასი ტონით მეტი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. დამზადებულია აგრეთვე მეტი რძე, მატყლი და კვერცხი. ერთ საფურაუე ძროხაზე მიღებულია 859 კილოგრამი რძე — 57 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1974 წლის პირველ ნახევარში. შარშანდელზე უკეთესია აგრეთვე ყოველ ას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვსა და ცხვარზე ნამატის მიღების მაჩვენებლები.

წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქციის დამზადება. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 118,2 პროცენტით, რძისა — 116,8 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ცალკეული მეურნეობანი მაინც ჩამორჩებიან მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებით. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 23 მეურნეობას არ შეუსრულებია ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა, ბოლნისისა და ბორჯომის რაიონებში — შვიდ-შვიდ მეურნეობას. ვერ შეასრულეს ხორცის დამზადების გეგმები აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ვანისა და თერჯოლის რაიონების ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. არის ჩამორჩენილი მეურნეობანი რძის დამზადებაშიც.

ბანხილული საკითხის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიიღეს შესაბამისი დადგენილება, აგრეთვე დადგენილება „საამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ“.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

რეკლამაცია მცირდება

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების (დირექტორი ბ. ტოფაძე) კოლექტივი ხუთწლედის პირველ სამ წელს რიტმულად, გამართულად ვერ მუშაობდა. დაბალი იყო პროდუქციის ხარისხი. აქ ძირეული გარდატეხა შარშან დაიწყო, ხოლო ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კიდევ უფრო გაძლიერდა შრომის ტემპი. პროდუქციის რეალიზაციის ექვსი თვის გეგმა 104 პროცენტით გაანალდეს, საერთო პროდუქციის წარმოებისა — 103 პროცენტით. საწარმომ პირველი კვარტალის შედეგებით სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

ექვსი თვის გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 896 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი ნაწარმი. წარმოების მოცულობა შარშანდელი ზომაზე ამავე პერიოდთან შეფარდებით 7,4 პროცენტით გაიზარდა, ამასთან პირველი ხარისხის პროდუქციის წარმოებამ საერთო პროდუქციაში 93,6 პროცენტი შეადგინა. ნაცვლად გეგმით ათვალისწინებული 92,6 პროცენტისა. 20 ერთეულით შემცირდა რეკლამაციების რაოდენობა. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

წლის დასაწყისში გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით იწარმოებინა და მოეხდინა 1 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, მაგრამ შემდგომში აწონდაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობა, ეს ციფრი 400 ათასი მანეთით გაზარდეს. ქუთაისის მშრომელთა ვალდებულებაში — ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აწარმოონ 20 მილიონი მანეთის პროდუქცია. მკერავთა ვალდებულება 7 პროცენტს შეადგენს. წლის პირველ ნახევარში რეალიზებულია 896 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც წლიური ვალდებულების 58.3 პროცენტს შეადგენს.

რის შედეგია მიღწევები? უპირველესად, შრომის სწორი ორგანიზაცია. სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, პარტიულ და სახალხოშეფიო ორგანიზაციების, მინდობილი საქმის შესრულებისადმი მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებისა. მაგალითად, ავიღოთ პროდუქციის ხარისხისათვის ზრუნვა. აქ ხარისხისანშრომი 146.800 მანეთის პროდუქცია აწარმოეს, რაც 26.800 მანეთით აღემატება წლიურ დავალებას. წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხი მაღლების მიზნით გათვალისწინებულია დაიდგას 20 ახალი ორნეულისანი საკერავი მანქანა, აგრეთვე ხამამუღო და უცხოური წარმოების სხვა მანქანა-დანადგარები.

სათანადო ყურადღება ეთმობა ნედლეულის მოპეჭირნეობით ხარჯვას, ამასთან ნედლეულის მომწოდებელ საწარმოებზე ზემოქმედებას, რათა აწარმოონ მომხმარებელთა მოთხოვნების შესაფერისი პროდუქცია. თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ გამოშვებული შალის ქსოვილის გამოყენების მიზნით (აღნიშნული ქსოვილი ნაშთად ირიცხებოდა წლების განმავლობაში) სამკერვალო გაერთიანების კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს კაცის ახალი ტიპის შარვალი, ხოლო კომბინატის დირექციას წაუყენეს მოთხოვნა კიდევ უფრო დაიხვეწოთ შალის ქსოვილის ტექნოლოგია, ნაწარმის ესთეტიკური გაფორმებისა და სწრაფი რეალიზაციის მიზნით კაცისა და ვაჟის შარვლებს გაიკეთებდა ხელოვნური ტყავის ქამარი.

პროდუქციის ხარისხი კიდევ უფრო რომ ამაღლდეს, გაერთიანებაში წლეულს მაისიდან შეიქმნა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, გაძლიერდა ტექნიკური კონტროლი.

გაერთიანებაში ფართოდ არის განაზოგებული სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ამ მხრივ ორკრატულად არის განსაზღვრული თვითეული მუშის წვლილი, შეჯიბრების შედეგები ყოველდღიურად ჯამდება. მას ადგილობრივი რაიონმაუწყებლობის გადაცემებითა და სპეციალური სტენდებით აცნობენ მუშა-მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელეს № 1 საამქროს (უფროსი ბ. კლდიაშვილი) № № 4, 8, 9, ბრიგადებმა. № 2 საამქროს (უფროსი მ. ცქიფურიშვილი) №№ 16 17, 18 ბრიგადებმა, № 3 საამქროს (უფროსი ნ. ლომიძე) № № 25, 26, და 22 ბრიგადებმა, რომელთაც ოსტატები გ. ჩიჩნაძე, ბ. გოგებაშვილი, მ. ფორფოლიანი, ლ. რუხაძე, ი. ჯავახაძე, ც. მახათაძე, რ. ბელთაძე, თ. ფხაკაძე, ლ. დარსაველიძე და ვ. ზვიადაძე ხელმძღვანელობენ.

საწარმოს კოლექტივი ჩაება პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახალი გადიდებული ვალდებულება ითისა და ივისათვის ითვალისწინებს, რომ წლიურ დავალებას 15 დღეზე ადრე ამოიწურებოდეს. ამ ამოცანის შესრულება საშობლოს ეადმდე უპატიჟოს.

დ. ᲒᲔᲯᲔᲜᲘᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორ.



ჩვენი მეგობრობა

ᲫᲛᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ, ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ, ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲜ

ᲓᲐᲕᲘ აყვავდეს ჩვენი მეგობრობა!—ამ დეკანოზმა გაიერთიანა მოხალეხი ძრავალეროვანი შეხვედრებისა, რომლებიც ახლა ეძართება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — ქალაქ-კურორტ ბორჯომის საწარმოოებსა და დაწესებულებებში, სახატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

სსრ კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის კვირეული, რომელიც მოაწყო პარტიის ბორჯომის რაიონულმა კომიტეტმა, გადაიქცა ჩვენი ძმაკაცური ურთიერთობისა, საშობლოს წარმომადგენელთა ძმობის ამაღლებულ ღღესასწაულად. იგი გაიხსნა საზეიმო სხდომით ბორჯომის საკურორტო პარკის საზაფხულო საკონცერტო დარბაზში, სადაც შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელები, მეზობელი — ახალციხის, ხაშურის, ადიგენის, ახალქალაქის რაიონების წარმომადგენლები, კურორტის სტუმრები — მისი სახატორიუმებისა და პანსიონატების დამსვენებლები.

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივნის შ. ჭალაგანიძის მოხსენებაში, რუსული საშუალო სკოლის დირექტორის ა. კეშიშეგის, პედაგოგ ნ. ბერიძისა, დამსვენებლებსა — საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის პოლკოვნიკის ა. ტროშინის, ალმაათის საშუალო სკოლის დირექტორის ბ. სადაევის, გორკი-ლენინსკიეს ექსპერიმენტული სკოლა-ინტერნატის უფროსი ალმზრდელის ე. შარგოროდსკის, პროფკავშირების კურორტების მართვის, ბორჯომის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მ. თვაურის გაძოსულებში აღიხიძა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ინტერნაციონალისტ ლენინელთა პარტია გადაძყვეტილ ძალა გახდა, რომელმაც გაიერთიანა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროი და ეროვნება. ინტერნაციონალიზმი ძირეულობით საბჭოთა ადამიანის ქცევის ნორმაა. საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ძმობის მკაფიო მაგალითია ბორჯომის რაიონიც, სადაც ცხოვრობენ და შრომობენ ოცზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები მუდამ არის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. იყენებენ ბუძაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს.

კარგად არის დაყენებული ინტერნაციონალური აღზრდის საქმე ქალაქის ქარხნებსა და დაწესებულებებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, სადაც ეწყობა დამსვენებელთა საინტერესო შეხვედრა-საღამოები.

ადგილობრივი მხარემიცოდნეობის მუზეუმი თვალსაჩინოდ და მკაფიოდ ასახავს არ მარტო ქალაქ-კურორტის ისტორიას, არამედ იმ ძმადრო მეგობრულ ურთიერთობასაც, რომელიც დაკავშირებულ ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის.

ბორჯომის სრულიად საკავშირო ჯახმრთელობის კერის არსებობის მანძილზე აქ დაისვენა სსრ კავშირიდან და საზღვარგარეთიდან ნაშოსულმა ხუთ მილიონამდე კაცმა. საგულისხმოა ა. ლუნაჩარსკის სიტყვები, რომელიც ასახელგახთქმულ კურორტზე ისვეხებდა: „თუ მართლაც არსებობს სამოთხე, იგი ბორჯომისხაირი უნდა იყოსო“. აქ ყოფილან დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი, გამორჩეული პროლეტარული მწერალი მ. გორკი, მეცნიერებისა და კულტურის ბევრი მოღვაწე.

ძეგბრობული ურთიერთობა მოიცავს ძმობელთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. საყაოძოო გაერთიანება „ბორჯომი“ ეკიბრება კისლოვოდსკისა და სოჩხეთის კურორტ არხნის ჩაძოსასხმელი ქარხნების კოლექტივებს. ძიხის ქარხნელები ძეგობრობენ კონსტანტინოვკელ (უკრაინის სსრ) კოლეგებთან.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან ადგილობრივი გაზეთი „ბორჯომი“, კულტურის რაიონული სახლი, მოსწავლეთა კლუბები, რომელთა აქტივისტებს მიწერ-მოწერა აქვთ ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან. ამ მიწერ-მოწერაში იშვა და განმტკიცდა ბორჯომის რაიონის კულტურის სახლის ლენინური კომკავშირის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლისა და სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის გორკი-ლენინსკიეს ე. ი. ლენინის სსოვნის ექსპერიმენტული სკოლა-ინტერნატის მეგობრობა, რომლის მოსწავლეები ბორჯომში ჩამოვიდნენ მეგობრობისა და ძმობის ინტერნაციონალურ ღღესასწაულზე. (საქინფორმი).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ბორჯომში ინტერნაციონალური მეგობრობის კვირეულის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან): ბორჯომის ჩამოსხმელი ქარხნის ხუროო შოთა ინასარიძე; ლენინგრადის საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერი ზირა შჩერბაკოვა. გვარდიის პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი ალექსი ტროშინი (თბილისი), ოდესის ქარხანა „ეპილლონის“ კონტროლიორი გალინა ბუზოროვა და საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ ჩამოსხმელი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გუგული ელიავიძე.

Ფ. ᲙᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲒᲣᲠᲩᲘᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეწევინენ თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები, რომელთაც ხელმძღვანელობენ პედაგოგები ლ. სიდამონიძე და ჯ. კოხრეიძე.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა მოსწავლეებს ყველა პირობა შეუქმნეს შრომაში აქტიური მონაწილეობისა და გონივრული გართობადასვენებისათვის. მოსწავლე გოგონებს ვაზის ფურჩვნა-ასგეგა შეასწავლეს პირველი აგროგანყოფილების ბრიგადირებმა თ. მაზანაშვილმა და ნ. ჯანნაშვილმა. მოსწავლეთ ბიჭები კი ვაზის ძირების გამოთხრას დაეუფლნენ.

ახლა მოსწავლეები მეურნეობის მუშებთან ერთად ბეჯითად შრომობენ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად.

Ა. ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ბერეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ეწევინენ თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები, რომელთაც ხელმძღვანელობენ პედაგოგები ლ. სიდამონიძე და ჯ. კოხრეიძე.

ამ ხანმოკლე ხანში ბიჭებმა ბევრი ეფერეს ვაზებს. ბიჭებმა ბევრი ეფერეს ვაზებს. ბიჭებმა ბევრი ეფერეს ვაზებს.

23 ივლისი

ამბები • ფაქტები

საკადესი და ეცხოვითის ჯრედის საგანგებო ოფიციანები

ი. განდის გამოსვლა

დელი. (საკადესი). ინდოეთის პარლამენტში გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, მიმართა რა ხალხსა პალატის დეპუტატებს, მან განაცხადა, რომ ინდოელმა ხალხმა მხარი დაუჭირა საგანგებო წესების შემოღებას, რამდენადაც იგი დარწმუნებულია, რომ მთავრობა და მმართველ პარტიას — ინდოეთის ეროვნულ კონგრესს შტაიცედ აქვთ გადაწყვეტილი პროგრესული გარდაქმნების გზით წაიყვანონ ქვეყანა.

ი. განდიმ დაგმო ცილისწამების, ცრუ ხმებისა და ცალკეული ლიდერების დევნის კამპანია, რომელიც შემარყევეს პარტიებმა და ორგანიზაციებმა გაიაღეს. ასეთ ანტიდემოკრატიულ მეთოდებს, განაცხადა მან, ძალართავს, კერძოდ, ჯახა სინგჰის პარტია და მისი ხელოვნად გასამხედროებული ფრთა რს. „ძე ძიდა ეკითხო ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომელი მთავრობა რომელ ქვეყანაში მოითვლება ასე დიდხანს ამგვარ ვითარებას?“.

„თავრობის შიერ განხორციელებული ღონისძიებანი, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, შეესაბამება ქვეყანაში კონსტიტუციური, საპარლამენტო სისტემის შეხარჩუნებას, ხალხის იხტერესებს, იმ მიმართულების იხტერესებს, რომლითაც განვითარდება ინდოეთი.

ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ, თუმცა მის მიერ გამოცხადებული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების პროგრამა შეიცავს ძველ, ძაგრამ ჯერ კიდევ განუხორციელელ დებულებებსაც, ეს პროგრამა ქმნის ახალ ატმოსფეროს, რომელიც საჭიროა იმის განსახორციელებლად, რასაც ინდოელი ხალხი ესწრაფვის.

ჟურნალისტი ფიქრობს

დაძაბულობის შენელების ორბიჭები

ნიუ-იორკი. ამერიკულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. ვ. პოდგორნისა და ა. ნ. კოსიგინის მისალმება საბჭოთა კოსმონავტებისადმი, „სოიუზ-19“ კოსმოსური ხომალდის შემქმნელებისადმი, ყველასადმი, ვინც განახორციელა მისი ფრენა ამერიკის ხომალდ „აპოლონთან“ ერთად. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, კოსმონავტებს მიულოცეს ფრენის წარმატებით დამთავრება, აგრეთვე ჯეროვნად შეაფასეს ამერიკელ ასტრონავტთა მაღალი ოსტატობა. მათ აღნიშნეს, რომ ფრენა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების გზაზე. მისი წარმატება სახავს კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში სხვადასხვა ქვეყნის ერთობლივი მუშაობის ახალ პერსპექტივებს.

„ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ საბჭოთა კოსმონავტების დედამიწაზე დაბრუნებისადმი დაკვირვება ძირითადი მოვლენა იყო პიუტონის პილოტირებული ფრენის ცენტრში. როცა საბჭოთა კოლეგების ძირს დაშვების ამბავი შეიტყო, თ. სტაფორდმა განაცხადა: „ძალიან კარგი. გადაეცით მათ ჩვენი საუკეთესო სურვილები. გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ“.

უცხოეთის გამოხმაურება

საბჭოთა კავშირ-ამერიკის წარმატებული ექსპერიმენტი კოსმოსში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის უშუალო შედეგია. ამავე დროს იგი ხელს უწყობს ნინსკენ ყველა სახელმწიფოს შორის დაძაბულობის შენელებისა და ხელსაყრელი ურთიერთობის განმტკიცების გზით. ასეთია ძირითადი დასკვნა, რომელიც გამოაქვთ თვალსაჩინო მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, მსოფლიოს პრესის მიმომხილველებს, როცა განმარტავენ „სოიუზ“-„აპოლონის“ ექსპერიმენტის შედეგებსა და ერთობლივი კოსმოსური ფრენის საბჭოთა ნაწილის დამთავრებას.

სოფია. „სოფია“-„აპოლონის“ კოსმოსური ექსპერიმენტი, განაცხადა ბულგარეთის სახალხო კრების დეპუტატმა აკადემიკოსმა სავა განოვმა, შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო დამკვიდრდა სხვ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ფრენა არის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების, ურთიერთნდობის, მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ის ნაბიჯი, რაზეც მთელი პროგრესული კაცობრიობა ოცნებობდა.

ვარშავა, გადაჰკრგებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფაშიანთი ხომალდების შეჯირაპირებით საბჭოთა და ამერიკელმა კოსმონავტებმა შეაღლს ახალი ეტაპის კარი, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“. მთელი ექსპერიმენტი, კოსმოსში მთელი ფრენა — ეს უწინარეს ყოვლისა არის მსოფლიოში გამეფებული ახალი კლიმატის, სხვ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების ერთობლივი ფრენა არის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების, ურთიერთნდობის, მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ის ნაბიჯი, რაზეც მთელი პროგრესული კაცობრიობა ოცნებობდა.

პარიზი. „ახლა, როცა „სოიუზ-19“ საბჭოთა ხომალდის მისია მთლიანად შესრულებულია, ფრენის ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა უნდა შეაჯამონ შედეგები, გამოიტანონ დასკვნები და განსაზღვრონ კოსმოსური კვლევის შემდგომი ეტაპები ეროვნული და საერთაშორისო თვალსაზრისით, — წერს „ლუმანიტე“.

მაგრამ დღეს შეიძლება ითქვას: „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამა და საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ფრენის საბოლოო ნაწილი მოწმობენ, რომ შეძენილია უმდიდრესი გამოცდილება. მთელი კვლევა შესრულდა ოსტატურად, საიმედოდ, შეიძლება ითქვას, დახვეწილად“.

რომი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოსმოსშრომა ეძსკერიმენტმა ცხადყო, რომ შეიძლება და საჭიროა თანამშრომლობა მსოფლიოს ორ უდიდეს ქვეყანას შორის მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის, ზეინარეს ყოვლისა, მთელ მსოფლიოში ნდობისა და მშვიდობის დამყარების ინტერესებისათვის, წერს „უნიტა“, ეს ექსპერიმენტი, დასძენს გაზეთი, განხორციელდა უაღრესად წარმატებით და ხელს შეუწყობს ქვეყნად უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საფუძვლების განმტკიცებას.

(საკადესი).

ბამს ქართველებიც აშენებენ ნიკა გრუზინსკაია

ჟურნალისტი ხუთწლედის დიად მშენებლობებზე

ლამით ნიაში სიმღერის ხმა ისმის, მუშაობს ადგილობრივი რადიოკვანძი. აქ უფრო ხშირად ქართულ მელოდიებს უკრავენ, და ეს გასაგებიც არის. ყველამ, ვინც დიდხანს მოუმორებია საქართველოს, კარგად იცის როგორ შეფერთხიალდება გული, როცა რადიოტალღების სახელურს აბრუნებ და უცებ თბილისის ხმას გაიგონებ, ყველაზე მოსაწყენი გადაცემაც რომ იყოს, მაინც გულისფანცქალით უსმენ, როგორც საყვარელი პოეტის ლექსებს, ხოლო როცა ისმის მშობლიური მელოდიები, შენდაუნებურად ნაღველი გეპარება... სიყრმიდან ნაცნობი სიმღერა ისე გახარებს, როგორც სამშობლოდან მოსული ძვირფასი ამბავი.

ვერტმფრენს ყოველდღიურად მოაქვს ახალი ფოსტა. წერილები, წერილები, წერილები. ავრეთვე ამანათები, კვირაში ორჯერ-სამჯერ. ჟურნალებს წერილებს სწერენ მშობლები, და რაც ძალიან საინტერესოა, სრულიად უცნობი ადამიანები. ხოლო ამანათებს ძირითადად პიონერები გზავნიან. ამანათებში აწყვია წიგნები, ხმელი ხილი, ლობიო, რომელიც ქართული სუფრის აუცილებელი კერძია, ცომბირში კი მისი არსებობა საერთოდ არც იციან. ბიაკალისპირეთში მხოლოდ კარტოფილი და ხორბალი მოდის. აქ ვაშლიც არ ხარობს, ისიც შორეულიდან შემოაქვთ, ბამის მომარაგება კარგია, ზრუნვას არ აკლებენ. ხორცეული, თევზეული, კარტოფილი და სხვა დანარჩენი პროდუქტები უხვად არის.

ნელი პატარიძე კადრების ინსპექტორია და ამასთან საზოგადოებრივ საწყისებზე ნიას ბიბლიოთეკას განაგებს. ბიბლიოთეკას ნახევარი ვაგონი გამოუყვეს, მაგრამ აქ წიგნების მხოლოდ ათი პროცენტი თუ დაეტია.

— თბილისიდან 1500 ტომი წამოვიღეთ, — მოგვითხრობს ნელი, — ახლა ჩვენ უკვე ათი ათასამდე დაგვიგროვდა. აი უკანასკნელი ამანათები. — და იგი გვიჩვენებს შვიდ ყუთს, რომლებსაც ნიას მისამართი აწერია;

ეს შვიდი ამანათი აფხაზეთიდან მოვიდა. კელასურას შოთა რუსთაველის სახელობის სამუშაო სკოლის მოსწავლეებმა 150 წიგნი გამოგზავნეს. მოსწავლეებმა რომ ბამელთა შეფობა იკისრეს, ეს ძალიან კარგია. ბავშვების ინიციატივა სამაგალითო უნდა იყოს უფროსებისათვის. კარგი წამოწყება უნდა გაგაერცელოთ

5. მშოგლიური გულების სითბო

ნია საქართველოს ეპიზოდურად კი, არ უნდა უკავშირდებოდეს, არამედ მყარად, უწყვეტი კავშირით. აქ ადამიანები ძალღონის დაუზოგავად შრომობენ, და მეტი ყურადღება სჭირდებათ. აი რა მითხრა ერთ-ერთმა მუშამ: შინდიან წერილი მივიღე, ტელევიზორში გხახეთო. ისე გამიხარდა, რომ მთელ კვირას თითქოს დავფრინავდი.

უკვე დრო ის სტიქიური იხტერესი და ზრუნვა, რომელსაც რესპუბლიკაში ბამისადმი ვიჩენთ, ორგანიზებული გავხადოთ. რას ნიშნავს ეს? ახლანდელი კვირეული მხოლოდ გამოიხატება ამანათებით, ორლებსაც ბავშვები გზავნიან. ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ამბავია, მაგრამ იქნებ აჯობოს, რომ რომელიმე სკოლამ, ან ვთქვათ მთელმა რაიონმა წიგნები ნიაში მარტო საერთო მისამართით კი არ გაგზავნოს, არამედ კონკრეტული შეფობა იკისროს რუხაიას, თარხნიშვილის, ქკუასელაძის, ან სხვა რომელიმე ბრიგადაზე. ბრიგადის წევრებს მიმოწერა ექნებოდათ პიონერებთან, მოუთხრობდნენ მათ თავიანთ ცხოვრებაზე. შეიძლება გავაერთოდ შეჯიბრება საუკეთესო პიონერული რაზმის, ან საუკეთესო სკოლის სახელის მოპოვებისათვის და ზაფხულში ერთანაბეკარი თვით გამარჯვებულებს — სასკოლო შრომითი რაზმის შემადგენლობას მიეცეთ უფლება ნიაში გაეკვეზო

ოს.

„ბამზე უკვე დაიწყო სამუშაობები. იქ იზრდება, ვაქკაცდება, იწრთობა ათეულ ათასობით ახალგაზრდა. მალე კი ეს ასეულ ათასობით ახალგაზრდა იქნება. მათ ბევრი სიძნელე უნდა გადალახონ. და ჩვენ დარწმუნებული ვართ..., რომ ისინი შეძლებენ ამას. და შეძლებენ ღირსეულად“ — თქვა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლისას.

ბამის კეთილნაყოფიერი გავლენა მთელს ქვეყანაში იგრძნობა. ვადამდე სრულდება ბამისთვის განკუთვნილი შეკვეთები, იქმნება დამკვრელური რაზმები, და ბოლოს, ამ ობიექტის მშენებელთა დიდ პოპულარობაზე მეტყველებს უამრავი წერილები, ამანათები, მილოცვები.

ჩვენი აზრით, ორგანიზებული შეფობა საჯარგებლო იქნება როგორც თვით შეფებისათვის, ისე მშენებლებისათვის. ნიაში სტუმრობის პატივის მოპოვებისათვის შეჯიბრება პარტიული აღზრდის შესანიშნავი საშუალება იქნება, მაგრამ ამასთან ნიას რამდენიმე მშენებელსაც უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ნახევარ წელიწადში ერთხელ ერთი კვირით ჩამოვიდნენ საქართველოში, გამოვიდნენ კოლექტივებში წინაშე, შეხვდნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებთანაც მიმოწერა ჰქონდათ. მორალური წახალისების ასეთი ფორმა ასჯერ



უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე რომელიც გნებავთ კრემია.

შეიძლება შეფობის კიდევ ერთი ფორმა განვახორციელოთ. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ნიაში მომარაგება ძალიან კარგია. მაგრამ... ჩვენი იქ ყოფნის დროს თბილისიდან ჩამოვიდა ლამარა ჭუმბურიძე. ის და მისი მეუღლე თამაზ ურუშაძე ნიას ექიმები არიან, აქ ვაკიმვილიც კი ჩამოუყვანიათ. ლამარამ ამბულატორიისათვის საჭირო მოწყობილობა ჩამოიტანა და მას მოაყოლა... წყაკა, სულგუნი, ბაკა და სხვა ქართული „რამეურემე“. ოვითეულს თითო ლუკმა შეჭვდა, მაგრამ უნდა გენახათ, რა კმაყოფილი იყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენი მომმარაგებლები შეცდომას უშვებენ, რომ ბამზე ალეურის ფორთოხალს და ბულგარულ ხილს თაგზესაყარად გზავნიან, საქართველოს სპეციფიკურ პროდუქტებს კი არა.

ნია საქართველოს სავაზატო ბარათია ბამის მშენებლობაზე. სადგურის პროექტი შეასრულა ახალგაზრდა არქიტექტორმა ვლადიმერ ჭურთიშვილმა. საყოველთაო აზრით, იგი მეტად კარგი გამოვიდა, ამასთან, როგორც ა. დვალიშვილმა თქვა, ჩვენი შესანიშნავი მხატვარი ზეთას წერილი დაპირდა მონაწილეობა მიიღოს მის მხატვრულ გაფორმებაში.

ნიაში მშენებლებთან საუბრის დროს დაიბადა აზრი, რომ კარგი იქნება ბამზე გზავნონ მაგნეტოფონები, რომლებზეც ჩაწერილი იქნება მშობლების და ახლობლეთა ხმა („მოლაპარაკე წერილები“), აგრეთვე იმ რაიონების გაზეთები, რომელთა წარმომადგენლებიც აქ ჩამოსულნი მშენებლები არიან.

ბამელთა პირველმა რაზმმა ნიაში დიდი საქმე გააკეთა ტაიგაში ბილიკი ბამზე ბოლოდ დასაბლება. მალე აქ შეესება მოუვალთ, რომ თვითონ ნიაარკანიგზის სადგური ააშენონ. პირველი ეშულონის ფორმირების დროს ძირითადად გამოცდილი ხალხი შეარჩიეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბამი კომკავშირული მშენებლობაა. ჩვენი აზრით, მომავალში ნიაზე კომკავშირელთა კონტინგენტი უნდა გაიზარდოს.

მკითხველს უყვარს სენსაცია, ვაქკაცობის ეჩვიულო მაგალითები. ბამზე ცოტა როდი ისეთი შემთხვევა, როცა მფრინავები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ, გაუვალ ნისლში ან ქარბუქში დაფრინავენ და უმედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს იხმარებიან. ბამის ცენტრალურ უბანზე, იქ, სადაც მდინარე ტინდაზე ხიდს აგებენ, ნამდვილი გმირობა ჩაიდინა ოთხმა კომკავშირელმა. ორი ათგანი ჩვენი თანამემამულე იყო — ნ. შენგელია და რ. ჭანკოტაძე.

რამდენიმე დღეს კოკისპირულად წვიმდა. მდინარე ტინდა მოდიდდა, მოზვირთდა. წყალი საათობით მატულობდა, მშენებარე ხიდის საყრდენებს წალეკვით ემუქრებოდა. აუცილებელი იყო იქამდე მიცურვა და საყრდენების ბაგირებით დამაგრება. მოუხვეს მობალისეებს. პირველი, ვინც სურვილი გამოთქვა, ნ. შენგელია იყო. მას გვერდში ამოუდგნენ რ. ჭანკოტაძე, უკრაინელი კუდმა და რუსი ფილიპოვი. მამაცმა ოთხეულმა ყინულივით ცივ წყალში საყრდენებამდე მიაღწია და ისინი ბაგირებით დაამაგრა. მერე ისინი მძლავრი, ტრაქტორებით შეიჩერეს. ასობით ათასი ადამიანის, მრავალი თვის ნამრომი გადარჩა. ამ ჭაბუკებს თავდადება: რომ არა, 8 მაისს ბამიტინდის ხაზზე მატარებელი ვერ გაივლიდა. ეს შესანიშნავი გამარჯვება მშენებლებს პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიულოცა.

ალბათ შენგელიას და მისი მეგობრების გმირობას არ გავიფერმკრთალებთ, თუ ვიტყვით, რომ თარხნიშვილის ბრიგადის და ნიას მშენებელი სხვა ბრიგადების თავდადებული შრომაც დიდი გმირობაა, მართალია, იგი ისე „კაშკაშა“ არ არის. მაგრამ, გვერწმუნეთ, დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე მაღალი შრომითი ენთუზიაზმის შენარჩუნება ცოტა საქმე როდია. საინტერესო რამ თქვა ა. დვალიშვილმა: მაშინ, იმ საშინელ დღეებში, როცა რაზმმა ლენა გადალახა და ტაიგრამდე მივიდა, სულაც არ გაგვჭირვებია, თუმცა ჯოჯოხეთი გამოვიარეთო. ეს შეიძლება პარადოქსალურად მოგეჩვენოს, მაგრამ თუ საქმეს ღრმად ჩავხედავთ, გასაკვირველი არაფერი არ არის. მაშინ ყველა დიდი ენთუზიაზმით, ერთიანი გაქანებით შეპყრობილი შრომობდა. მაგრამ ენთუზიაზმი დიდხანს არ გაგრძელდება, და თუ იგი ძალით მოახვევ თავს ადამიანს, შეიძლება მთელი კოლექტივის სულიერი ძალა გატეხო. ხატოვნად თუ ვიტყვით, ენთუზიაზმი სპრინტია, ხოლო ყოველდღიური შრომა—მარათონი, მთავარია, ყოველდღიური შრომა ისე მოაწყო, რომ ადამიანებს შრომის სურვილი არ დაეკარგოთ, მუდამ თანაბარი, კარგი განწყობილება ჰქონდეთ.

რაზმის ხელმძღვანელობამ, კომუნისტებმა და კომკავშირელებმა ნიაში ამას მიაღწიეს. და შედეგი ბევრად უკეთესი იქნება, თუკი მათს ამ მცდელობას საქართველოს მხარდაჭერაც მეტი ექნება, ვინაიდან ისე არაფერი ათბობს ადამიანს, როგორც მშობლიური გულების სითბო.

ვ. ჟაჯაია.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ბამის დასავლეთი უბანი.

ელ-ფეროლის ამბების გამო

მადრიდი, (საკადესი). მადრიდის საზოგადოებრივი წესრიგის ტრიბუნალმა განაჩენი გამოიტანა ქალაქ ელ-ფეროლის 28 გემთმშენებელი მუშის „საქმის“ გამო, რომელთაც ბრალად ედებათ „ძირგამომთხრელი საქმიანობა“. 10 მუშას მიესაჯა ერთიდან შვიდ წლამდე პატიმრობა, სასამართლო იძულებული იყო დანაჩენები გაემართლებინა იმის გამო, რომ დამამტკიცებელი საბუთები არ ჰქონდა. პროცესზე მოწმეებად გამოდიოდნენ პოლიციელები. დაცვას მათი ჯვარდინი დაკითხვის უფლება არ მისცეს.

ელ-ფეროლის ამბები მოხდა 1972 წლის მარტში, როცა პოლიციამ ცეცხლი დაუშინა გაფიცულ გემთმშენებელ მუშებს, რის შედეგადაც ორი კაცი მოკლეს და რამდენიმე დაჭრეს. მუშები გაიფიცნენ სამუშაოდან დათხოვნისა და პოლიციური რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ელ-ფეროლის მუშების გასამართლებამ ფართო საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია მთელ ესპანეთში. ქვეყნის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ბარსელონაში, ბილბაოში, ვალენსიაში. ამას წინათ მოეწყო მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ მუშების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. თვით ელ-ფეროლში მოეწყო სოლიდარობის გაფიცვა.

ვიოპარეგა პორტუგალიაში

ლისაბონი, (საკადესი) პრემიერ-მინისტრი ვასკუ გონსალვეში განაგრძობს კონსულტაციებს პორტუგალიის ახალი მთავრობის შექმნის მიზნით. გაზეთ „ხაკულუსათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან ყველა პორტუგალიელს მოუწოდა გამოიჩინონ სამტკიცე და სიფხიზლე რევოლუციის დაცვის საქმეში, აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე შეიქმნას ეროვნული ერთიანობის ახალი მთავრობა.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან...

გუქარესტი

აქ გაიმართა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომლის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს რუმინეთის განვითარების 1976-1980 წლების გეგმის პროექტი, აგრეთვე 1976 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, მოისმინეს ცნობა რუმინეთის კომპარტიისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საერთაშორისო საქმიანობის შესახებ პარტიის მე-11 ყრილობის შემდეგ და ინფორმაცია წყალდიდობის შედეგების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ.

რანგუნი

გუშინ ბირმაში აკელგან ალინიზნა გუდისტთა დღესასწაული ვაჯო (ბირმული კალენდრის მიხედვით ბადრი მთვარის — ვაჯოს დღესასწაული), იგი სამართლიანად მიაჩნიათ მთელი ბირმელი გლეხობის დღესასწაულად, რომელიც მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს. ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელები ხომ მას უკავშირებენ ბრინჯის — თავადარი სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტის მომავალი მოსავლის იმედს.

ვაშინგტონი

შეერთებულ შტატებში კვლავ იზრდება სიმძიმე, როგორც შრომის სამინისტრომ გამოაცხადა, ივნისში საცალო ფასები კიდევ 0,8 პროცენტით გადიდდა, რაც ყველაზე მკვეთრი ნახტომია გასული წლის სექტემბრიდან. განსაკუთრებთ გაძვირდა სურსათი და ბენზინი.

ჯ. ფორდის ინტერვიუ

ვაშინგტონი, (საკადესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი უურნალ „ტაიმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში შეეხო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას და მსოფლიოს საერთო ვითარებას.**

საერთოდ და მთლიანად, თქვა ჯ. ფორდმა, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობამ უკვე ორივე მხარეს მოუტანა იმდენი სარგებლობა, რომ გამართლებულია მისი გაგრძელება, იქნება ეს პირდაპირ კავშირურთიერთობის სფერო, თუ შეთანხმებანი მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვისა ან სხვა რომელიმე დარგში. ეს კარგი საძირკველი იყო, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვაშენოთ უფრო ფართო და უფრო ნაყოფიერი ურთიერთობა.

პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ სანამ ქვეყნები რეალისტურად ეკიდებიან დაძაბულობის შენელებას, არის შესაძლებლობა კვლავაც გამოვიყენოთ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ანალოგიური ურთიერთობა არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბულობის შენელებისათვის, არამედ როგორც ინსტრუმენტი საშიშროების აღმოფხვრისათვის, მსოფლიოში შედარებით მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რათა ხელი შეეუწყოთ ქვეყნად პრობლემების გადაჭრაში.

ჯ. ფორდმა აღნიშნა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების დიდი მნიშვნელობა და ამასთან დაკავშირებით დადებითად შეაფასა თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვლადივოსტოკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების პირველი ეტაპი წინ გადადგმული ნაბიჯი გახდა, მოლაპარაკების მეორე ეტაპი პოტენციურად კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი იქნება, თქვა მან, და გამოთქვა იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი მიაღწევენ ახალ შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

თუ ასეთ შეთანხმებას მივაღწევთ, პრეზიდენტის თქმით, მაშინ შეერთებულ შტატებს, ალბათ, „შედარებით სტაბილური“ საბჭედრო ბიუჯეტი ექნება. წინაალმდეგ შემთხვევაში, თქვა ჯ. ფორდმა, ამერიკის შეერთებული შტატების საბჭედრო ხარჯები მნიშვნელოვნად გადიდდებოდა. ამასთან ჯ. ფორდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შესაძლებელი შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ არ შეეხება ჩვეულებრივ იარაღს და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი აქვს კვლავაც განაგრძოს თავისი ძვირადღირებული პროგრამები შესრულება ომანისა და საბჭედრო ფლოტისათვის.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს, ჯ. ფორდმა თქვა, რომ ეს რაიონი „პოტენციურად ფრიად საშიშია“. ამასთან დაკავშირებით მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ხურს ვინმეს დაუბრუნებლად მსოფლიოს ამ რაიონში.

პრეზიდენტმა შემაშფოთებელი უწოდა ხატრ. საბჭოეთი ფლანგის მდგომარეობის და იმ მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ რაიონის ვითარებაზე, მიაკუთვნა საბერძნეთისა და თურქეთის დავა კვიპროსის გამო, აგრეთვე პორტუგალიის საშინაო ამბები.

ვეტო დაადეს

ვაშინგტონი. (საკადესი). **პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ვეტო დაადო კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა შეერთებულ შტატებში ამოღებული ნავთობის ფასებისადმი უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას.** პრეზიდენტისა და ძისი ძრჩეველების აზრით, ადგილობრივი ნავთობის ფასებისადმი კონტროლის შენარჩუნება კიდევ უფრო შეაძლებინებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ძის ამოღების და ქვეყნის კიდევ უფრო დამოკიდებული გახდება უცხოეთის წყაროებზე.

გასულ კვირაში ჯ. ფორდმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის ამოღების ზრდის სტიმულირების მიზნით, კონგრესს გაუგზავნა ამგვარი კონტროლის თანდათანობით მოხსნისა და შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ამოღებული ნავთობის ფასების მომატების გეგმა.

მაგრამ მთავრობის გეგმა წააწყდა კონგრესის წინააღმდეგობას, სადაც ძიანიანთ, რომ მისი რეალიზაცია ხელს შეუწყობს ინფლაციის ზრდას.

ეიერგეტიკის დარგში ღონისძიებათა გარშემო მთავრობისა და კონგრესის ბრძოლა ასახავს ამ პრობლემების სიმძვავეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რა ხდება ბასკონიაში

ბილბაო ავსებულია ჟანდარმერიით. ბასკების ქვეყნის დედაქალაქში თავმოყრილი არიან ესპანეთის არმიის ქვეგანაყოფები. ყველგან დაძრწიან ჯამუშები. რუს ფორმაში გამოწყობილი და თეთრმუზარადიანი კაობაინერები, ხელი აუტომატები რომ უკავიათ, მოთავსებულან ფოსტისა და ტელეგრაფის შენობასთან, მთავრობის დაწესებულებებთან, ესპანეთში უდიდესი „სესტაოს“ გემთა ვერფებთან.

რა მოხდა ბასკონიაში? რატომ მიმართეს ხელისუფლებმა უშიშროების საგანგებო ზომებს?

აი უკვე ორი თვეა ბასკების ქვეყანა საგანგებო წესების პირობებში ცხოვრობს. 25 აპრილს მადრიდის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით აქ შეჩერებულია კონსტიტუციის რამდენიმე მუხლის მოქმედება, ოის ძედგადაც პოლიციამ ძიიღო შეუზღუდავი უფლებები — ჩაატაროს მასობრივი დაპატიმრებანი, ჩხრეკა და დაკითხვები. საპყრობილეში ჩასხეს ასობით ბასკი პატრიოტი — ბუშები და სტუდენტები, მწერლები და მხატვრები, პროფკავშირული მუშაკები და მღვდლები— სულ ორ თვეში სამი ათასი კაცი. ტერორმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ ევროკოპოსმა ანტონიო ანიოვეროსმა შეშფოთებით აღიარა: „ქვეყანა სწრაფად ემვება ძალადობისა და სიკვდილის მორევში“.

დრაკონული ღონისძიებებით მადრიდელი ძალთვალნი ცდილობენ ჩაახშონ ბასკების ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რომელიც უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გააქტიურდა.

უკვე პირველი წელი როდია, რაც „ბასკონიის ავტონომიის“ მოთხოვნა სერიოზულად აყენოთებს ფრანკისტულ მადრიდს. ბასკების ეროვნული უფლებებისათვის მოძრაობაში ხომ მონაწილეობას იღებენ მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენები. ხოლო მთავარი ის არის, რომ ეს მოძრაობა პირდაპირ მიმართულია დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. და ეს გასაგებია. 1939 წელს ძალაუფლება რომ აიღო, გენერალმა ფრანკომ მოსპო ბასკების ქვეყნის ავტონომია და კრძალა აიღო მისი მოსახლეობის ძალდატანებითი გასესპანელებისაკენ. ამ ხალხის ძველმა კულტურამ და ენამ უსასტიკესი დევნა განიცადა. აიკრძალა ადგილობრივ ენაზე სწავლება და წიგნების გამოცემა. დახურეს ეროვნული გაზეთები და ჟურნალები. მას შემდეგ ალმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში.

სასტიკ რეპრესიებს განიცდიან ბასკთა ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ასოციაცია („ეტაკადა ეტაკატასუნა“ — ეტა), რომლის საქმიანობაში მონაწილეობენ ბასკოლინის მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენების წარმომადგენლები. ეს ორგანიზაცია თავისი შექმნის მომენტიდან გამოდის იმისათვის, რომ ფრანკიზმი დამხობილ იქნას და ბასკების ქვეყანას ავტონომია მიენიჭოს. მის რიგებში ცოტანი როდი არიან მამაცი, გამობრძმედილი მებრძოლნი, რომლებსაც განვლილი აქვთ საპყრობილეები და ინკვიზიტორული წამება. ეტა-ს საქმიანობა რთულდება იმით, რომ მასში არ არის სრული ერთიანობა ფრანკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების საკითხში. ეტა-ს აქტივისტების ნაწილი ცდილობს დიქტატურულ რეჟიმს ბოლო მოუღოს აშკარა ტერორის გზით. მაგრამ ისინი უმცირესობაში არიან. ამ ორგანიზაციის წევრთა დიდი ნაწილი კომუნისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით ფრანკიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავს ხომალდშენებლებსა და მანქანათმშენებლებს, მეტალურგებსა და მეშახტეებს. საგანგებო წესების გამოცხადებამდე ცოტა ხნით აღრე „სესტაოს“ გემთსამშენებლო ვერფებზე გაფიცვა მოხდა. ხომალდებელია ესპანეთში ამას წინათ ჩატარებული თავისუფლებისათვის ბრძოლის დღეები. მიუხედავად საგანგებო წესებისა, ოროლეიიც სიკვდილის შიშით კრძალავენ კრებების, სიტიბგეიისა და დეკოსტრაციების გაკეთებას, ათასობით ბასკი გაძოვიდა ქუჩებში და სხვადასხვა ფორმით გამოთქვ

დიდი ბალეტის პატარა ოსტატები

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეთა საანგარიშო-გამოსაშვებ სპექტაკლზე

ამ დღეებში პროფკავშირთა კულტურის სასახლის სცენაზე თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა სასწავლებელმა წარმოადგინა საანგარიშო-გამოსაშვები სპექტაკლი.

მრავალფეროვნებამ პროგრამამ მრავალმხრივად წარმოგვიდგინა მოსწავლეთა შემოქმედება და ნათელყო სასწავლებლის მიზანდასახულება — განუვითარონ მომავალ მოცეკვავეებს სცენური ნაწარმოების ყანონის სწორი გაგების და ქორეოგრაფიული ლექსიკის თავისებურებათა გადმოცემის უნარი.

კონცერტზე ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი ა. კრეინას ბალეტ „ლაურენსიადან“, ლ. მინკუსის „ბაიადერას“ აჩრდილთა სცენა, კ. ვებერის „მოპატიჟება ცეკვაზე“, პა-დე-დე პ. ჰერტელის ბალეტიდან „ამაო სიფრთხილე“. ცეკვები სხვადასხვა ოპერეტებიდან და ცალკეული ნომრები.

ჩინებული იყო ფალსების ქორეოგრაფიული კომპოზიცია, კ. ვებერის „მოპატიჟება ცეკვაზე“ (სხრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის დადგმა). ბალეტმასტერმა მცირეფორმიან ბალეტში ყმაწვილ ჭალვაეის რომანტიკული განწყობილება მდიდარი ქორეოგრაფიული პარტიტურით გამოხატა. ამ კომპოზიციაში, სოლისტები და კორდებალეტი ერთმანეთს ენაცვლებიან ლამაზი განლაგებით, საინტერესო სტრუქტურული ნახაზით. საფუძვლიანი ტექნიკური მომზადებით და შესრულების ინდივიდუალური მანერით გამოირჩეოდნენ კურსდამთავრებულები: ა. საკოვიჩი, ლ. ომიაძე, მ. კახიანი. თვალსაჩინოა მ. კახიანის მაღალი ნახტომი. ეროვნულობა, ლ. ომიაძე მუსიკალურია, დაჯილდოებულია რიტმის მახვილი გრძნობით. იგი კარგად ფლობს სხეულის კოორდინაციას. ჩვენი აზრით ლ. ომიაძე პერროიკული პლანის რეპერტუარში დიდ წარმატებას მოიპოვებს, რისი ნიშნებიც მან ლაურენსიას პარტიაში, პლასტიკური ფრაზების მონუმენტური სკულპტურულობით გამოხატვის მიღრეკილებაში გამოამჟღავნა.

მ. კახიანმა მომხიბვლელად განასახიერა ლაურენსიას სცენურ-ქორეოგრაფიული სახე.

მესამე წარჩინებულ კურსდამთავრებულს ა. საკოვიჩს, ტექნიკურად დაძლეული აქვს კლასიკური ცეკვის არსებითი სიძნელეები: ჩინებული იყო მისი ნიკია „ბაიადერაში“, სოლისტი „მოპატიჟება ცეკვაზე“, პასკუალა „ლაურენსიაში“.

პასკუალას პარტიაში ყურადღება მიიპყრო აგრეთვე მე-2 კურსის მოსწავლის მ. ფხაკაძის ბუნებრივმა გრაციულობამ და ცეკვაზე დგომის მტკიცე ტექნიკამ. სასიამოვნოა, რომ მეორე კურსის მოსწავლეს ი. დანელიას აქვს სცენურ სახეში ფსიქოლოგიურად წვდომის უნარი. მან გამომსახველად, ლირიკული სიწრფელით შეასრულა ხასინტას ვარიაცია. კურსდამთავრებულმა ო. თვალჭრელიძემ მძაფრი პლასტიკური მონახაზი წარმოგვიდგინა. ესპანური ხასიათი, დახვეწილი პოზები, სხარტი მიხვრამოხვრა. კოლორიტული იყო ს. სხირტლაძის ცეკვა კასტანიეტებით. სოლო პარტია — „ფლამენკო“ ერთმანეთისაგან განსხვავებული მანერით იცეკვეს შ. ნიკოლაიშვილმა და ადიღეველმა ასიატკიაროვამ.

დანარჩენი კურსდამთავრებულები: თ. კახაძე, ლ. გუკეტლეკი, ს. ცხადნური, მ. არუთინოვი, ლ. კულაკოვა, გ. კუპავეა, ტ. მირონუბოვა, რ. ჯერასიოვა მონდომებით და შინაგანი ცეკვლით ცეკვავდნენ.

ჰ. ჰერტელის „ამაო სიფრთხილეს“ ქორეოგრაფია ალბათ დიდხანს დარჩება ბალეტის ახალგაზრდა მსახიობებისათვის და მოსწავლეთათვის პროფესიონალიზმის გამოცდის ასპარეზად. წლევანდელ გამოშვებაში ლიზას პარტია შეასრულეს. თ. კახაძემ და ლ. გუკეტლეკმ. ამ უკანასკნელს კარგად აუთვისებია კლასიკური ბალეტის ალეგროს ტემპები. ხოლო თ. კახაძეს პლასტიკა უფრო უშუალოა.

საკონცერტო ნომრებიდან აღსანიშნავია შუბერტის „მუსიკალური მომენტი“-ს ქორეოგრაფიული ინტერპრეტაცია, მუსიკალურ-პლასტიკური სახიერება.

სასწავლებელს წესად აქვს შემოღებული უმცროსკლასელების გამოყვანა დიდ სამსჯავროზე. ასეთი პრაქტიკა აჩვენებ მათ სცენას და გარდასახვას. ამ თვალსაზრისით საქართველოს სხრ სახალხო არტისტმა ე. გელოვანმა გვაჩვენა საინტერესო ნამუშევარი: მ. მუსორგსკის მუსიკაზე „წიწილები“. ნაჩვენები იყო აგრეთვე პატარა არაბების ცეკვა (ჯ. ბერდის მუსიკა), ჯელობის პოლკა პიციკატო და ჟ. ბიზეს პატარა ესპანელები (პედაგოგები რ. დოლიძე, ი. მეტრეველი და ნ. ვოიეიკოვა).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს სასწავლებლის ერთი მეტად მტკივნეული საკითხი — ვაჟთა კონტინგენტის შერჩევა-შეფასების პრობლემა, რომელიც ისევ დღის წესრიგში დგას და გადაჭრას მოითხოვს. საქმე იქამდეა მისული, რომ საჭირო ხდება რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა რაიონების შემოვლა და კარგი მონაცემების ვაჟი მოცეკვავეების შერჩევა.

სასწავლებლის სამზატერო ხელმძღვანელს, სსრკ სახალხო არტისტს ვ. ჭაბუკიანსა და საქართველოს სხრ სახალხო არტისტს ვ. ფალიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვით საღამოს წარმატებაში.

ნონა გუნია,
საქართველოს სხრ დამსახურებული არტისტი.

სურათებზე: მარცხნიდან — კურსდამთავრებული ლ. ომიაძე, მე-2 კურსის მოსწავლე მ. ფხაკაძე და ადიღეური ჯგუფის მოსწავლე ხ. პოდოკოვი.

ა. არუთინოვის ფოტო.

გამარჯვების ნებისყოფისათვის

ზ. მაისურაძე

ეროვნული გიგლიოთეკა

კალათბურთელთა ტურნირი და მისი შედეგები

კიევში ამთავრა კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების სასპორტკიადო ტურნირი. ჩემპიონი უკვე ერთი დღით ადრე იყო ცნობილი. მოსკოვის ნაკრებს, რომელიც დაკომპლექტებული იყო ცსკა-სა და „დინამოს“ მოთამაშეებით, ბადალი არ ჰყავდა. სპარტაკიადის ჩემპიონმა — დედაქალაქის ნაკრებმა ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის უკანასკნელიც უკრაინის გუნდთან — 99:81.

ლენინგრადისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩის შედეგი ცნობილია. ლენინგრადელები პირველად გახდნენ სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორები, რაც შეეხება საქართველოს კალათბურთელთა მიერ მოპოვებული მესამე საპრიზო ადგილსა და ბრინჯაოს მედლებს, ეს უთუოდ თვალსაჩინო წარმატებაა და მისახალმებელიც არის. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენმა კალათბურთელებმა სპეციალური პრიზი — თასი დამსახურებულ გამარჯვების ნებისყოფისათვის.

პირველი ფინალური ჯგუფის უკანასკნელ შეხვედრამდე ლიტვის გუნდმა ერთი ქულის უპირატესობით (84:83) სძღვა ლატვიის კალათბურთელთა კოლექტივს და მეოთხე ადგილი დაიკავა. ტურნირის მასპინძლები—უკრაინელი კალათბურთელები მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. მეექვსე იყო ლატვიის გუნდი. მეშვიდე და მერვე ადგილები, რომლებიც აგრეთვე ქულებს აძლევდა, დაიკავეს ბელორუსიისა და ესტონეთის გუნდებმა.

გუშინ საქართველოს კალათბურთელები თბილისში დაბრუნდნენ. რუსეთის სპორტკომიტეტში მოეწყო შეხვედრა. გუნდის წევრებს დადაეცათ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები, ხოლო მწვრთნელებს ლ. მოსეშვილსა და ა. სხეიერეს მიენიჭათ საქართველოს სხრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

სიურპრიზი პირველ ტურშიე

მოჰადრაკეთა ფორუმზე

რიგა. 23 ივლისი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ბ. ბამრაკელი ტელეფონით გვატყობინებს:

— სპარტაკიადის ისტორიაში უჩვეულო რამ მოხდა, მოსკოვის ნაკრები დამარცხა რსფსრ-ის გუნდმა 8,5:0,5. სპასკის პირველ დაფაზე მოუგო პეტროსიანს; პოლუგაევსკიმ—სმისლოვს... უკრაინისა და ლატვიის გუნდების შეხვედრის შედეგია 4:3 უკრაინელთა სასარგებლოდ, მაგრამ 2 გადადებულ პარტიაში უპირატესობას ლატვიელები ინარჩუნებენ.

საქართველოს გუნდის მეტოქე ლენინგრადის ნაკრები იყო. მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა გურგენიძის წინააღმდეგ ინგლისური დასაწყისი აირჩია, მაგრამ მალე დაფაზე წარმოიქმნა სიცილიური დაცვა. გურგენიძემ იერიშის მიღების მიზნით პაიკი შეხწირა და აქტიური თამაში მიიღო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა გაამარტივა პოზიცია და თამაში ეტლების მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა. გურგენიძემ ვადადო პარტია, მაგრამ შემდეგ ბრძოლის განუახლებლად დანებდა მეტოქეს.

ფურმანმა მოუგო ჯინჯიხაშვილს, ციეტლინმა — გიორგაძეს, ტაიმანოვმა — ზაიჩიკს, გაფრინდაშვილმა — ლევიტინას, ალექსანდრიამ — კრისტოლს. გუფელდ-კორჩნოის, უბილავა-ლუკინის, ჩიქოვან-ფაიბისოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 5,5:3,5 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

პირველ ექვსეულში დღეისათვის ლიდერობს რსფსრ-ის ნაკრები, რომელსაც 13 ქულა აქვს. ლენინგრადელებს 10 ქულით მეორე ადგილი უჭირავთ. მესამე ადგილზეა საქართველოს გუნდი — 8,5 ქულა.

მოკლედ

კალათბურთი. მოსკოვში, ცსკა-ს სპორტულ დარბაზში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოდიან საბჭოთა კოლექტივები (პირველი, ახალგაზრდული და გოგონათა ნაკრები გუნდები), პოლონეთის, ბულგარეთისა და იაპონიის ეროვნული ნაკრებები. ეს არის ძალთა კიდევ ერთი შემოწმება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც კოლუმბიაში დაიწყება 23 აგვისტოს.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა პირველი და გოგონთა ნაკრები გუნდები. უპირატესობა, ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონთა მხარეზე იყო — 91:43. პოლონელებმა მოუგეს ბულგარელებს — 68:63. ტურნირი 27 ივლისამდე გასტანს.

ფრენბურთი. საბჭოთა ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 0:3 წააგო კანადის ქალაქ ტორონტოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში იაპონიის გუნდთან, რომელიც ლიდერობს შეჯიბრებას. ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზეა.

ცხენოსნობა. საფრანგეთის ქალაქ ფონტენბლოში ვაიმართან ევროპის ჩემპიონატი ფუნიორთა შორის ცხენის გაწვრთნაში. გაიმარჯვა გფრ-ის გუნდმა. პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო დასავლეთგერმანელი მიხელ ფასბენდერი. საბჭოთა ნაკრები, რომელიც მხოლოდ ეროვნებისაგან იყო დაკომპლექტებული, მეორე ადგილზე გამოვიდა. სახელგანთქმულ ელენე პეტუშკოვას „შემავიდრემ“ — მოსკოველმა სვეტლანა ლუკონინამ მეშვიდე შედეგი აჩვენა.

ფყალში ხტომა, ფყალბურთი. კალიში (კოლუმბია) მსოფლიოს პირველობაზე სპორტის საფყლოსნო სახეობებში მოსკოველმა ვიაჩესლავ სტრასოვმა ზესამე ადგილი მოიპოვა სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში. ჩემპიონი ჯახდა ამერიკელი ფილ ფოგსი, მეორე ადგილზეა იტალიელი კლაუს დიბიასი.

საბჭოთა ფყალბურთელები ნახევარფინალურ ჯგუფში გავიდნენ, სადაც დაამარცხეს იტალიელები — 3:2.

სპარტაკიადის ტაგლო

გუნდები, ქულები

	კალათბურთი (ვაჟები)	ფენა სახეობის შედეგ
რსფსრ	—	7.920,5
მოსკოვი	90	6.293
უკრაინა	36	6.212,5
ლენინგრადი	72	4.547,5
ბელორუსია	24	4.001
ყაზახეთი	—	2.677
საქართველო	54	2.563
უზბეკეთი	—	2.262,5
ლატვია	30	2.076
ლიტვა	42	2.011,5
მოლდავეთი	—	1.805
ესტონეთი	18	1.519
აზერბაიჯანი	—	1.448
სომხეთი	—	1.384
ყირგიზეთი	—	1.067
ტაჯიკეთი	—	936,5
თურქმენეთი	—	549

პირველი შედეგები

სპორტის ტექნიკურ სახეობებში

სტარტზეა სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობები. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. შვანგერაძემ** განაცხადა:

— 26 სახეობიდან, რომლებსაც სპარტაკიადის პროგრამა ითვალისწინებს, საქართველოს სპორტსმენები გამოვლენ 24 სახეობაში. სპორტსმენთა კოლექტივების ერთი ნაწილი უკვე ჩაება ბრძოლაში.

პირველად სტარტი მოტოციკლეტბმა აიღეს. ტურნირში ჩვენი რესპუბლიკიდან 10 სპორტსმენი გამოდიოდა. მათ მოტოკროსში მეოთხე გუნდური ადგილი დაიკავეს რსფსრ-ის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებთა შემდეგ. პირად ასპარეზობაში საქართველოს გუნდიდან მეორე იყო ვ. ჩვანოკი, ხოლო ვ. გალუსტაშვილმა მეექვსე ადგილი დაიკავა. ჩვენმა სპორტსმენებმა აქ 18 ქულა მოიპოვეს.

წინ არის არაერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა, რომელთა შედეგები საბოლოოდ განსაზღვრავენ გუნდების სატურნირო მდგომარეობას. ჩვენ წარმატებებს მოველით ავტომრავალჯერადი, კარტინგებით ასპარეზობაში, პარაშუტისტთა შეჯიბრებასა და სხვა ასპარეზობებში.

წინა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტის სახეობრივ-ტექნიკურ სახეობებში მეხუთე ადგილი ეჭირა, ვიცდებით წელსაც უძლიერესთა ხუთეულში მოვხვდეთ.

ეს მოხდა პრიმორსკში

ქართველი მენალმის მამაცობა

ეს მოხდა 16 აპრილს, დღის 13 საათზე. ქ. პრიმორსკის ერთ-ერთ ახალ საცხოვრებელ რაიონში მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინეს ომისდროინდელი სამარა მასალის საწყობი. მშენებლებმა ეს სასწრაფოდ აცნობეს სამხედრო ნაწილის მენალმეებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ შემოხვევის ადგილზე გამოცდილ მენალმეთა ჯგუფი ჩამოვიდა. მათ განსაზღვრეს სწრაფმსროლელი ზარბაზნის ყუმბარების მარკა. მენალმეებმა აღმოაჩინეს 6096 ფეთქებადსაშიში საგანი. პირველი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოს სურკოვი, უფროსი სერჟანტი ვასილ წერეთელი და უმცროსი სერჟანტი ივანე პოდკუკაკო, მუშაობას შეუდგა. ისინი დიდი სიფრთხილით სანტიმეტრობით — ნიჩბებით ასუფთავებდნენ ყოველ მტკაველ მიწას, და სულ ახალ და ახალ ყუმბარებს პოულობდნენ. შემდეგ მენალმეები მიწის სიღრმეში ჩამავალ მავთულს წაეწყდნენ, საინტერესოა, რა უნდა იყოს? ნაღმი — მოსატყუებელი თუ... იქნებ აფეთქებას ამზადებდნენ და ვერ მოასწრეს. ყოველ შემთხვევაში მავთული დიდი საშიშროების სიგნალი იყო. ამიტომ აქ უმნიშვნელო შეცდომაც სიცოცხლის ფასად შეიძლება დამჯდარიყო.

როცა ერთ-ერთი მონაკვეთი მთლიანად გაასუფთავეს, მუშობას მეორე ჯგუფი შეუდგა.

მეორე დღეს აღინიშნებოდა საბჭოთა ჯარების მიერ ამ პატარა ქალაქის განთავისუფლების 30-ე წლისთავი. გაიმართა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის მოწინავე ადამიანები, ომის ვეტერანები.

მაგრამ ზეიმს არ ესწრებოდა მენალმეთა ჯგუფი, რადგან განაღმვის სამუშაოები კვლავ გრძელდებოდა.

სომხარი მასალების საწყობიდან ასე ოც მეტრზე მენალმეებმა აღმოაჩინეს 50-კილოგრამიანი ფუგასური, ბაუსკადარი ბომბი, დეფორმირებული ამფეთქებლით.

ამჯერად აშკარა სიკვდილთან ჭიდილში უფროსი სერჟანტი ვასილ წერეთელი ჩაება. მისი უფროსი სურკოვი მთლიანად ენდობოდა წერეთლის ოსტატობას. ამასთანავე უუმბარის ტიპიც ეგბრძოლისათვის ნაცნობი იყო. მაგრამ ამფეთქებელი?...

წერეთლის ბერძნობიარე თითები ფრთხილად, თითქოს ეფერებაო, ისე შეეხო დაკანგულ ფეტლს. რამდენიმე წუთიც და ამფეთქებელი უკვე ხელში ეჭირა, ყუმბარა კი სილასთან ერთად ეუთში ჩადეს და მანქანაზე დაბერთეს.

ყველა ნაპოვნი ყუმბარა ქალაქგარეთ გაიტანეს. ცოტა ხანიც და ჯაისმა ძძლევრი აფეთქების ამა. გადაიქუხა და ჩაჩუმდა ომის ოდევ ერთი ექო.

ამ ამბავს გვაუწყებს. წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ყოველდღიური გაზეთის „სტრაჟ ბალტიკის“ 1975 წლის 30 აპრილს ნომერში გამოქვეყნებული რეპორტაჟი „დღესასწაულს ვერ დაესწრნენ“. წერილთან ერთად გაზეთში გამოქვეყნებულია უფროსი სერჟანტი ვასილ წერეთლის ფოტოსურათი, როცა მან ამფეთქებლისაგან უკვე უანბელყო საავიაციო ყუმბარა.

გაზეთის ეს ნომერი ბალტიისპირეთის ოლქის სარდლობამ სულ ახლახან გამოუგზავნა წერეთლის მშობლიური რაიონის ლენინუთის საბჭოდრო კომისარიატს. ალბათ ეს ფოტო ლეიტენანტ ნიკოლოს სურკოვი, უფროსი სერჟანტი ვასილ წერეთელი და უმცროსი სერჟანტი ივანე პოდკუკაკო, მუშაობას შეუდგა. ისინი დიდი სიფრთხილით სანტიმეტრობით — ნიჩბებით ასუფთავებდნენ ყოველ მტკაველ მიწას, და სულ ახალ და ახალ ყუმბარებს პოულობდნენ. შემდეგ მენალმეები მიწის სიღრმეში ჩამავალ მავთულს წაეწყდნენ, საინტერესოა, რა უნდა იყოს? ნაღმი — მოსატყუებელი თუ... იქნებ აფეთქებას ამზადებდნენ და ვერ მოასწრეს. ყოველ შემთხვევაში მავთული დიდი საშიშროების სიგნალი იყო. ამიტომ აქ უმნიშვნელო შეცდომაც სიცოცხლის ფასად შეიძლება დამჯდარიყო.